ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდრეული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი#2

ქ. ფოთი 23 ივლისი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები:

აკაკი დარჯანია, ბაქარ ერაგია, ნიო ბაკურაძე, ლელა ჩიჩუა, ეკატერინე ფაჩულია, ინგა მასხულია, ნონა ხუხია, მაია მაკალათია , ნონა სილაგავა, ნანა ვეკუა, ეკატერინე ტუღში

მოისმინეს:
შსს ქალაქ ფოთის საქალაქო სამმართველოს წარმომადგენელის 2019 წლის და 2020 წლის 6 თვის ინფორმაცია ფოთში ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. (ანგარიში თან ერთვის)
ასევე, ისაუბრეს საბჭოს 2020 წლის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ძირითადად, გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერებას, ცნობადობის ამაღლებასა და ქმედუნარიანობის ხელშეწყობას ითვალისიწინებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ბექა ვაჭარაძემ დეტალურად ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანია მათ მიერ წამოწეული საკითხების შესწავლა, ასევე, გენდერულ ჭრილში მუნიციპალური პროგრამების გადახედვა, დახვეწა და საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავება.
მისი თქმით, უახლოეს პერიოდში საბჭო კიდევ ერთხელ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხებზე და მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმარებამდე მერიას რეკომენდაციით მიმართავს.

აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: აკაკი დარჯანიამ, ბაქარ ერაგიამ, მაიკო მაკალათიამ, ნონა ხუხიამ.

დაადგინეს: მუნიციპალიტეტში შეიქმნას ოჯახის გაძლიერებს ერთიანი მუნიციპალური სტარტეგია;

მომავალი წლის ბიუჯეტში ცალკე პროგრამად (ქვეროგრამად) ჩამოყალიბდეს ოჯახის გაძლიერების პროგრამა და განისაზღვროს შესაბამისი ბიუჯეტი;

შემუშავედეს ერთჯერადი დახმარების სერვისიდან გრძელვადიან სერვისზე გადასვლის მექანიზმი;

გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი შსს ქალაქ ფოთის საქალაქო სამმართველოსთან;

3 აგვისტოს, დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრა ადგილობრივ ბიუჯეტში სტანდარტული წესების კრიტერიუების კორექტირების და ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ;

შედგეს სამუშაო შეხვედრა თემაზე მძიმე მეტალების და ტყვიის შემცველობის შესწვალა ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

საბჭოს მდივანი ეკატერინე ფაჩულია

საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
სამეგრელო - ზემო სვანეთის
პოლიციის დეპარტამენტის
ქ. ფოთის საქალაქო სამმართველო

MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
SAMEGRELO - ZEMO SVANETI
POLICE DEPARTMENT
POTI CITY DIVISION

MIA 3 20 01853586

10/08/2020

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ **ბექა ვაჭარაძეს**

ბატონო ბექა,

თქვენი 2020 წლის 21 ივლისის N 02/192 წერილის პასუხად გეგზავნებათ ქ.ფოთის საქალაქო სამმართველოს მიერ ოჯახური ძალადობის კუთხით გაწეული მუშაობის სტატისტიკური მონაცემები. 2019 წლის ექვს თვეში გამოიცა 72 შემაკავებელი ორდერი, აქედან დაიწყო გამოძიება 21 საქმეზე, 19 პირი იქნა მიცემული პასუხისგებაში, ხოლო ორ საქმეზე შეწყდა გამოძიება. სულ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გამოიცა 134 შემაკავებელი ორდერი, დაიწყო გამოძიება 33 საქმეზე, აქედან 31 პირი მიეცა პასუხისგებაში.

2020 წლის ექვს თვეში გამოცემულია 62 შემაკავებელი ორდერი, აქედან 16 საქმეზე დაიწყო გამოძიება. 12 პირი მიცემულია პასუხისგებაში, სამი საქმე შეწყდა, ხოლო ერთ საქმეზე ბრალია წასაყენებელი.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა სავარაუდო მსხვერპლის ან ნებისმიერი მოქალაქის მომართვიანობის საფუძველზე, შემდეგ ხდება მასალების მოკვლევა და საქმის ვითარებიდან გამომდინარე დგება შედეგი. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის წესი განისაზღვრება შს მინისტრის 2019 წლის 11 დეკემბრის N 100 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების მიზანია მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვა ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების უზრუნველყოფის გზით. ზედამხედველობას ახორციელებს შსს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასევე შემაკავებელი ორდერზე ზედამხედველობა ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმზე კითხვარების საშუალებით განსაზღვრული რისკის სიმძიმის შესაბამისად. შემაკავებელ და დამცავ ორდერზე უფლებამოსილი პირის მიერ ზედამხედველობა ხორციელდება ორდერის მოქმედების საბოლოო ვადის ამოწურვამდე.

პატივისცემით,

4400, ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. №6
ტელ.: (+995 032) 241 57 57

6, Mshvidoba str., 4400, Poti, Georgia
Tel.: (+995 032) 241 57 57

შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის
დეპარტამენტის ქ.ფოთის საქალაქო
სამმართველოს უფროსი, პოლიციის მაიორი
ხვიჩა ქადაგიძე